ПРОЛЕТАРЕБО ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲣᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲚᲔᲚᲝ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲤᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠ�გᲐᲜᲝ

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

8 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ, ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 1988 Წ.
№ 111 (9778) ● ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐ�პ.

ᲒᲐᲛᲝᲦᲘᲡ 1934 ᲬᲚᲘᲡ 13 Ა�პᲠᲘᲚᲘᲓᲐᲜ

ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲩᲝᲒᲝᲕᲐᲫᲔᲛ ᲘᲛᲐᲠᲯᲕᲔᲐ

ᲡᲔᲣᲚᲘ. წყალში მხტომელთა წინასაოლიმპიადო ტურნირი, რომელიც აქ ჩატარდა, სეზონის მთავარი სტარტებისთვის გენერალურ სამზადისს ისახავდა მიზნად. ამდენად, აქ მოპოვებული წარმატება, ფაქტიურად, ოლიმპიურ საგზურს იძლევა, მით უფრო, რომ შეჯიბრებაში მსოფლიოს ᲧᲕᲔᲚᲐ წამყვანი წყალში მხტომელი მონაწილეობდა.

კოშკიდან ხტომაში ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა ჩვენმა თანამემამულემ, ევროპის 1987 წლის ჩემპიონმა, 19 წლის თბილისელმა გიორგი ჩოგოვაძემ. საქმე მარტო ის კი არ გახლავთ, რომ ჩოგოვაძემ ამ ტურნირში ᲧᲕᲔᲚᲐᲡ აჯობა, არამედ ისიც, რომ ბრწყინვალე ოსტატობა აჩვენა, უნიკალური სირთულის ნახტომები შეასრულა და ქულათა კარგი რაოდენობაც დააგროვა — 614,76. საინტერესოა აღინიშნოს, რომ საბჭოთა გუნდის მეორე მონაწილე ვლადიმერ ტიმოშინინი ᲗᲐᲛᲐᲠᲯᲕᲘᲡᲔᲑᲣᲚᲘ 84,15 ქულით (!) [illegible] 530,61 ქულა დააგროვა და IV ადგილი დაიკავა.



ᲣᲜᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ შედეგი მოიგო ტრამპლინიდან მხტომელთა შეჯიბრება მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების არაერთგზის ჩემპიონმა გრეგ ლუგანისმა (აშშ) — 688,68 ქულა. მან 63,24 ქულით აჯობა მეორე ადგილზე გასულ მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონს ტან ლიანდეს (ჩინეთი). მოსკოველ სერგეი ლომანოვსკის მეოთხე შედეგი ჰქონდა (585,99), ᲧᲝᲠᲝᲜᲔᲯᲔᲚ ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲔ დროჟინს კი მეცხრე (565,92).

კოშკიდან მხტომელ ქალთა შეჯიბრებაში 14 წლის მოსკოველმა ელენა მიროშინამ მესამე ადგილი დაიკავა — 417,96 ქულა. პირველ-მეორე ადგილებზე ჩინელი სპორტსმენები გუან სიუეცინი (446,46) და სიუი იანმეი (437,91) გავიდნენ.

ᲐᲠᲓᲐᲓᲔᲒᲔᲑᲖᲔ ᲑᲐᲜᲐᲙᲔᲑᲨᲘ

ზაფხულს ერთნაირად მოუთმენლად მოელიან ადამიანები, მაგრამ. ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ დიდი სიხარული მას ბავშვებისთვის მოაქვს. ვისთვის იგი მეორე, მესამე, მეოთხე პიონერული ზაფხულია, ვისთვის პირველი, ვისთვის პიონერულ ბანაკთან გამოსათხოვარი, მაგრამ მუდამ დაუვიწყარი. პიონერული ბანაკის ერთ-ერთი დანიშნულება ჯანმრთელობის გაკაჟებაა. შემთხვევითი არ არის, რომ საბანაკო ცხოვრებაში ესოდენ დიდი ადგილი ეთმობა ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ და სპორტულ ღონისძიებებს. დღის რეჟიმში ერთმანეთს ენაცვლება გონებრივი და ფიზიკური აღზრდა, შემოქმედება და აქტიური დასვენება. მაგრამ ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ როდი იცავენ ამ თანაფარდობას. ბევრგან, სამწუხაროდ დათმობაზე მიდიან, როცა საქმე ეხება პიონერთა ფიზიკურ აღზრდას, აქტიურ დასვენებას — დილის ვარჯიშს, ტურიზმს, სპორტული სექციების მუშაობას, ცურვის შესწავლას, საბანაკო და ამხანაგურ სპორტულ შეჯიბრებებს. არ არის დასამალი, რომ ფიზიკური აღზრდის ხელმძღვანელს ზოგან სხვა საქმეს ავალებენ, ცურვის ინსტრუქტორის შტატში კი სამუშაოდ ამყავთ არასპეციალისტი ან სულაც შტატს არადანიშნულებით იყენებენ. ეს ᲧᲝᲕᲚᲐᲓ დაუშვებელია. თუნდაც ასეთი ფაქტი ავიღოთ. პიონერულ ბანაკს აქვს საცურაო აუზი, მაგრამ ბანაკის ხელმძღვანელობას არ ხურს, რომ აუზი მუშაობდეს. რატომ? მათივე ლექსიკას რომ დავესესხოთ, „ზედმეტი შარია“ და იმიტომ. ათას მიზეზს მოიტანენ, ცდილობენ ეს მიზეზები რაც შეიძლება „სარწმუნო“ გახადონ, რომ ის „ზედმეტი შარი“ თავიდან აიცილონ. აი, როგორია დამოკიდებულება. ასეთი ბანაკის ხელმძღვანელებს მკაცრად მოეთხოვებათ პასუხი.

წელს საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტებთან და პროფესორ-მასწავლებლებთან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის შეხვედრისას ხაზგასმით ითქვა ბავშვებისათვის ცურვის შესწავლის აუცილებლობაზე. ჩვენი ამოცანაა, მაქსიმალურად გამოვიყენოთ ᲧᲕᲔᲚᲐ შესაძლებლობა, მათ შორის ცურვის შესწავლის ბუნებრივი საშუალებები — ზღვის სანაპირო, ტბები და წყალსაცავები, მდინარეები ან საგუბარები და ა. შ. აქ თავისი სიტყვა უნდა თქვან აგრეთვე წყალმაშველი საზოგადოების წარმომადგენლებმა. დაიწყო პიონერული ზაფხული, მისი დამთავრებისას მუშაობის შეფასების ერთ-ერთ მთავარ კრიტერიუმად უნდა მივიჩნიოთ ის, თუ რამდენად ამაღლდა მოზარდთა ფიზიკური აქტივობის დონე, რამდენი პიონერი და მოსწავლე დაეუფლა ცურვას. ვიმეორებთ, ცურვის შესწავლა განსაკუთრებით აუცილებელია. გვახსოვდეს უკეთეს საჩუქარს ვერაფერს გავიღებთ ჩვენი ნორჩებისთვის, მათი მშობლებისთვის თუ ვნებავთ მთელი ჩვენი საზოგადოებრიობისთვის, ცურვა ხომ ადამიანისთვის მეორე სიცოცხლეა.

მიმდინარეობს ველოსპორტის კვირეული. გუშინ თბილისის ცენტრალური ველოდრომიდან გვაცნობეს, რომ ხუთშაბათს და შაბათს 11 საათზე ველოტრეკზე მოეწყობა მასობრივი შეჯიბრებები ბავშვებისათვის როგორც ორთვლიანი, ისე სამთვლიანი ველოსიპედებით. სტარტზე (ასაკის მიხედვით) დაიშვება ᲧᲕᲔᲚᲐ მოზარდი თავისი ველოსიპედით. იქვე 9 და 10 ივნისს ჩატარდება საქართველოს ჩემპიონატი სპრინტში 1971-72 და 1973-75 წლებში დაბადებულთათვის.

ᲐᲑᲘᲢᲣᲠᲘᲔᲜᲢᲘ-88

ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ ᲩᲐᲗᲕᲚᲔᲑᲘ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐᲨᲘ

ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡ სასწავლებლებში მისაღები გამოცდების დაწყებამდე, როგორც გადაწყდა, წელს პირველად ტარდება აბიტურიენტთა შემოწმება ფიზიკურ მომზადებაში. „ლოკომოტივის“ სტადიონზე მუშაობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმღები კომისია (თავმჯდომარე პროფესორი ვ. გოგუაძე, მოადგილე ფიზაღზრდის კათედრის გამგე, სპორტის დამსახურებული ოსტატი ე. გოკიელი), მაგრამ აქ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔᲣᲠᲐᲓ საკონტროლო ნორმატივებს აბარებენ არა მარტო ისინი, ვინც აპირებს გახდეს უნივერსიტეტის სტუდენტი, არამედ რესპუბლიკის ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში შესვლის ᲧᲕᲔᲚᲐ მსურველი.

შეგახსენებთ, რომ წელს ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში ბედს ცდის 45 ათასამდე ახალგაზრდა, როგორც იცით, ხაუთებს კი ინსტიტუტებში არ მიიღებენ თუ აბიტურიენტს ხელთ არ ექნება ფიზიკურ მომზადებაში ჩათვლის ბარათი. ამიტომ შეეცადეთ დროულად მიაკითხოთ მიმღებ კომისიებს, მერე და მერე, როცა აბიტურიენტები მოზღვავდებიან, მომსახურება გართულდება, თქვენც მეტ დროს დაკარგავთ.

ᲚᲔᲘᲚᲐ ᲛᲔᲡᲮᲘ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲙᲝᲠᲢᲖᲔᲐ

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ „ლელოს“ მკითხველებმა იციან, ამას წინათ, ერთ-ერთ საერთაშორისო ასპარეზობაზე ქართველი ჩოგბურთელი ლ. მესხი დაშავდა. ტრავმა სერიოზული არ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ და სპორტსმენი უკვე განიკურნა, იგი ახლა სსრ კავშირის ნაკრების სხვა წევრებთან ერთად ინგლისში იმყოფება. იქ ლეილა მესხი ჩაებმება უიმბლდონის ტრადიციული ტურნირის შერჩევით შეხვედრებში ასპარეზობის დასკვნით ეტაპში მონაწილეობის უფლების მოსაპოვებლად.

ᲔᲠᲗᲘ ᲑᲠᲘᲜᲯᲐᲝᲡ ᲛᲔᲓᲐᲚᲘ

მოსკოვის უნივერსალურ სპორტდარბაზ „დრუჟბაში“ დამთავრდა ანატოლი ხარლამპიევის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამბისტთა ტურნირი. საქართველოს სპორტსმენებიდან ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ კარგი შედეგი აჩვენა მცხეთელმა მამუკა წინამძღვრიშვილმა, რომელმაც III ადგილი დაიკავა.

ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲓᲔᲑᲐ

ᲤᲣᲠᲜᲘᲠᲘᲡ ᲔᲥᲝ

ᲫᲘᲣᲓᲝᲛ საქართველოში მყარი სტატუსი მოიპოვა და ჩვენს სპორტსმენთა წარმატება თუ წარუმატებლობა ტატამზე დიდ სიხარულს ან მწარე იმედგაცრუებას იწვევს უამრავ გულშემატკივართა შორის. ახლა ოლიმპიური წელიწადია და სპორტის მოყვარულთა განცდები შემოდგომისათვის აპოგეას მიაღწევს. მანამდე კი ტარდება სხვადასხვა მნიშვნელობის ტურნირები, რომლებშიც ქართველი ᲫᲘᲣᲓᲝᲘსტებიც მონაწილეობენ. ამ წერილშიც სწორედ ასეთ შეჯიბრებებზე, ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ თასის გათამაშებაზე და ევროპის ჩემპიონატზე გვექნება საუბარი (რომლის შედეგები უკვე დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში), მოსაუბრედ კი საქართველოს ᲫᲘᲣᲓᲝᲘსტთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი, მოსკოვის ოლიმპიადის ჩემპიონი შოთა ხაბარელი მოვიწვიეთ.

● მესამე ადგილი, ალბათ დამეთანხმებით, შეუფერებელია ჩვენი ᲫᲘᲣᲓᲝᲘსტებისათვის ნებისმიერ საკავშირო შეჯიბრებაზე, თუმცა, ისიც ვიცით, ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ თასის გათამაშებაში რამდენიმე ჩვენი წამყვანი სპორტსმენი არ გამოსულა. იქნებ ამის მიზეზი დაგეხახელებინათ.

— ტიუმენში, სადაც ეს შეჯიბრება გაიმართა, გუნდის ხუთი პირველი ნომერი გვაკლდა. ამირან ტოტიკაშვილი და აკაკი კიბორძალიძე ევროპის ჩემპიონატის შემდეგ იქვე, ესპანეთში დარჩნენ ამხანაგურ ტურნეში მონაწილეობის მისაღებად. კობა კურტანიძემ მენისკის ოპერაცია გაიკეთა და ჯერ საბოლოოდ არ გამოჯანმრთელებულა. ვახტანგ ჯაფარიძეს, ალბათ იცით, დისკვალიფიკაცია მისცეს, გია თენაძეს კი დასვენების საშუალება მივეცით თბილისის საერთაშორისო ტურნირის წინ.

● თბილისის ტურნირს კიდევ დავუბრუნდებით, ახლა კი მინდა გკითხოთ, ის გუნდი, რომელიც ტიუმენში გამოდიოდა, წინასწარ იყო განწირული წაგებისთვის?

— მსგავსი არაფერი ᲧᲝᲤᲘᲚᲐ. ჩვენ მეორე შეხვედრაში მოსკოვის გუნდთან მინიმალური ანგარიშით 2:3 დავმარცხდით. გადამწყვეტი ორთაბრძოლა ქვეყნის წლევანდელმა ჩემპიონმა ავთანდილ გუბელაძემ მოულოდნელად წააგო თითქმის უცნობ სპორტსმენთან. საერთოდ, მან ძალზე დაგვაღალატა ამ შეჯიბრებაზე. მოულოდნელად დამარცხდა ლერი ნაკანიც და შეხვედრა ვეღარ გადავარჩინეთ. მანამდე 86 და 95 კილოგრამ წონებში შეხვედრები ფრედ დავამთავრეთ.

ᲘᲣ. ᲛᲔ.4 ᲒᲕ.

ᲞᲝᲓᲣᲑᲜᲘᲡ ᲛᲔᲛᲝᲠᲘᲐᲚᲖᲔ

ᲔᲡ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო შეჯიბრებად ითვლება კლასიკური სტილის მოჭიდაველებისთვის. ახლაც როსტოვში, სადაც ეს ტურნირი მიმდინარეობდა, მრავალმა ცნობილმა ათლეტმა იასპარეზა. ზოგიერთ საბჭოთა მოჭიდავეს, რომლებიც ოლიმპიურ ნაკრებზე აცხადებენ პრეტენზიას, აქ წარმატება მნიშვნელოვნად უიოლებთ ამოცანას.

ტურნირში საქართველოს 7 ფალავანი მონაწილეობდა. ჩვენთვის მთავარი, რასაკვირველია, გურამ გედეხაურის გამოსვლა გახლდათ (100 კგ წონითი კატეგორია), როსტოვში ამავე წონაში ასპარეზობდა თენგიზ თედორაძეც. ფინალში წრიული სისტემით ასპარეზობის უფლება მოიპოვეს გურამ გედეხაურმა, თენგიზ თედორაძემ და უკრაინელმა ვიაჩესლავ კლიმენკომ. თედორაძემ მოუგო კლიმენკოს (5:4), ამ უკანასკნელმა გედეხაურს სძლია (4:2), ხოლო მსოფლიო ჩემპიონმა, თავის მხრივ, თედორაძემ დაამარცხა (6:0). გამარჯვებულად კლიმენკო გამოცხადდა, გედეხაური მეორე ადგილზე გავიდა, თედორაძე — მესამეზე.

კლიმენკო ვეტერან სპორტსმენად ითვლება და საეჭვოა იგი ოლიმპიურ გუნდში მოხვდეს. ხოლო გურამ გედეხაურის ძირითადი მეტოქე ანატოლი ფედორენკო სწორედ იმ დროს აშშ-ში გამოდიოდა საერთაშორისო ტურნირზე და კუბელ მოჭიდავესთან დამარცხდა.

ი. პოდუბნის მემორიალში III ადგილი დაიკავა ბეგი დარჩიამ (82 კგ).

გაცნობებთ ტურნირის გამარჯვებულთა ვინაობას: **48** კგ. ი. სამტაევი; **52.** ა. რომანიუკი; **57.** ა. მანუკიანი (ᲧᲕᲔᲚᲐ — სსრკ); **62.** ე. ᲔᲠᲚᲝᲑᲔᲠᲘ (საფრანგეთი); **68.** ლ. ჯუფალაკიანი; **74.** ა. კონდრაცკი; **82.** ს. ნასევიჩი; **90.** ს. დემიაშკევიჩი; **100.** ვ. კლიმენკო; **130.** ვ. გრიგორიევი (ᲧᲕᲔᲚᲐ — სსრკ).

ორიენტირი — ჭაბუკთა II საკავშირო თამაშები

კონკურენცია მძაფრი იქნება

ვორონეჟში 10 ივლისს სტარტს აიღებს ჭაბუკთა II საკავშირო თამაშების პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება სპორტულ ტანვარჯიშში. ჩვენი სპორტსმენები ამ ორთაბრძოლებისთვის მონდომებით ემზადებიან. ჭაბუკთა ნაკრებს, სათავეში უდგას საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი ჰანს ბურჯანაძე, მას ეხმარებიან მწვრთნელები — თამაზ გოგინაშვილი, ედუარდ ექსუზიანი და ვალერი მოსკვიტინი, აკრობატი სერგეი ჰანკინი, ქორეოგრაფი თენგიზ ბუიღლიშვილი, მასაჟისტი აბესალომ ახრამიშვილი.

— ჭაბუკთა ტურნირისთვის 10 ტანმოვარჯიშე შევარჩიეთ — გვითხრა ჰ. ბურჯანაძემ. — შეჯიბრებაზე 1973-75 წლებში დაბადებული ექვსი სპორტსმენი წავა, თითოეული ასაკიდან — ორ-ორი. ვორონეჟის სტარტებისთვის ემზადებიან და უფროსთა ჯგუფში გამოვლენ — ვალერი ოგანეზოვი, მიხეილ პლიევი და დათო სანიშვილი. სამივე სპორტის ოსტატობის კანდიდატია. მათგან ორი უძლიერესი ისპარეზებს ოსტატობის კანდიდატთა პროგრამით. 1974 წელს დაბადებულთა შორის ნაკრებში მოხვედრის შანსი აქვთ ოსტატობის კანდიდატებს — ნიკოლოზ ბარამიძეს, გიორგი კოსტანიანს, ილო ვაშაკიძეს და დათო იორდანიშვილს. 1975 წელს დაბადებული სამი სპორტსმენიდან (ლევან სეხნიაშვილი, ლაშა ბერაძე, გენო სურმანიძე) პირველთანრიგოსანთა პროგრამით საასპარეზოდ მხოლოდ ორი გამგზავრება, კერძოდ ვინ, ეს თამაშებზე წასვლამდე ერთი კვირით ადრე გაირკვევა.

● როგორ ემზადება გუნდი პასუხსაგები სტარტებისთვის და რომელი ადგილი გაქვთ „დაგეგმილი“?

— მეორე საკავშირო თამაშებისთვის ორი წელია ვემზადებით. პირველი დიდი შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობა მივიღეთ, შარშან ბათუმში გამართული სპორტსკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშები გახლდათ. მაშინ გუნდური VI ადგილი დავიკავეთ. პირველ პირველობაში კი თავი გამოიჩინეს ნ. ბარამიძემ და გ. კოსტანიანმა. ნიკამ ტაიჭზე I ადგილი მოიპოვა, ხტომებში — მესამე, გიორგიმ კი ხტომებში არავის დაუთმო პირველობა. გარდა ამისა, ნაკრების წევრები მონაწილეობდნენ სხვადასხვა სახისა და რანგის შეჯიბრებებში, კარგი შედეგები აქვთ სპორტსაზოგადოებების პირველობებზე. ბარამიძემ იუგოსლავიის საერთაშორისო ტურნირზე პირველი ადგილი დაიკავა ტაიჭზე. ორიოდე თვის წინათ ვილნიუსში გამართულ საკავშირო შეჯიბრებაზე ვიასპარეზეთ და გუნდურ მესამე ადგილზე გამოვედით. მონაწილეობა მივიღეთ ერევანში გამართულ ამიერკავკასიის ჭაბუკ ტანმოვარჯიშეთა ამხანაგურ შეხვედრაშიც. ერთი სიტყვით, თითქოს, ურიგოდ არ ვართ მომზადებული, მაგრამ წარმატებაზე რაიმე გარკვეულის თქმა გაგვიჭირდება, რადგან ჩვენს მეტოქეებს ხეირიანად არც კი ვიცნობთ. ეს ვიცით მხოლოდ, რომ ძლიერი გუნდები ეყოლებათ მოსკოვს, ლენინგრადს, უკრაინას, ბელორუსიას, ლიტვას. მიუხედავად მძაფრი კონკურენციისა, გუნდურ მეხუთე-მეექვსე ადგილს ვგეგმავთ.

● ასპარეზობის პროგრამაში თუ იქნება რაიმე სიახლე?

— ახალ ოლიმპიურ ციკლთან დაკავშირებით სპორტის ოსტატებისა და ოსტატობის კანდიდატებისთვის ახალი პროგრამები მუშავდება, ამიტომ გადაწყდა, რომ 1973 და 1974 წლებში დაბადებული სპორტსმენები მხოლოდ ნებისმიერი პროგრამით (ორჯერ) იასპარეზებენ, ხოლო პირველთანრიგოსნები ძალებს მოსინჯავენ როგორც სავალდებულო, ისე ნებისმიერ პროგრამაში.

P.S. ჭაბუკი ტანმოვარჯიშეები ახლა ლესნოძეში გაემგზავრნენ 24-დღიან საწვრთნელ შეკრებაზე, სადაც საბოლოოდ დადგინდება იმ ექვსი სპორტსმენის ვინაობა, რომლებიც ივლისში საკავშირო თამაშებში მიიღებენ მონაწილეობას. შეჯიბრებაზე გუნდს უხელმძღვანელებს საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი არნოლდ კვეტენაძე, რადგან ჰანს ბურჯანაძე ქვეყნის ნაკრების ერთ-ერთ მწვრთნელად მიიწვიეს საკავშირო შეკრებაზე.

საუბარი ჩაიწერა
ვაჟა დანელიამ.

შენდება ახალი სპორტული ობიექტები

მისამართია ...

ცნობილია, რომ სპორტი ახალგაზრდების ფიზიკური აღზრდის, მათი გაკაჟების ერთ-ერთი მძლავრი საშუალებაა. სად დაისვენოს, სად და რით გაერთოს ახალგაზრდა? — ეს მარტო ლოკალური პრობლემა როდია, იგი ყველას აწუხებს.

უკანასკნელ ხანს ამ მიმართებით მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა აბაშის რაიონში. ამჟამად ახალგაზრდების განკარგულებაშია კეთილმოწყობილი ცენტრალური სტადიონი, სპორტული მოედნები და უმარტივესი ტიპის სპორტკომპლექსები. მიუხედავად ამისა, რაიონში კეთილმოწყობილი სპორტული დარბაზის უქონლობის გამო საგრძნობლად ფერხდება ახალგაზრდების ფიზიკური აღზრდის საქმე, შეჯიბრებები მაღალ დონეზე ვერ ტარდება. ერთი სიტყვით, სპორტდარბაზის აგება აუცილებელი გახდა. ამისათვის გაისარჯნენ რაიონის პარტიული, საბჭოთა ორგანოები. 1986 წელს დაიწყო და დღესაც გრძელდება სპორტდარბაზის მშენებლობა, რაზეც 400 ათასი მანეთი დაიხარჯება. უკვე ათვისებულია 160 ათასი მანეთი.

მშენებლობას აწარმოებს აბაშის № 51 მოძრავი მექანიზებული კოლონა (უფროსი რ. მაკალათია). მშენებლები დროულად მარაგდებიან სამშენებლო მასალებით, მუშახელი არ აკლით, რაც იმის გარანტიას გვაძლევს, რომ სპორტდარბაზი დადგენილ ვადებში დამთავრდება. სპორტულ მასალებით მშენებლებს უფუფრხებელად ამარაგებს ცხაკაიას № 5 ტრესტის სამშენებლო სამმართველო (უფროსი თ. ესიავა).

ეს ბაზა სავსებით დააკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს — ექნება დიდი დარბაზი, რომელიც დაიტევს 300 მაყურებელს, მოძრავი სცენა, ფინური აბანო, გასახდელი, საშხაპე, აგრეთვე ფრენბურთის, კალათბურთის, ჭიდაობის მინიდარბაზები.

ივლიანე თოფურია,
გაზეთ „განახლებული აბაშის“ პასუხისმგებელი მდივანი, საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი.

ნორჩთა ტურნირზე

კიევის კორტებზე დამთავრდა ქალაქის დაარსებისადმი მიძღვნილი მოზარდ ჩოგბურთელთა საკავშირო ტურნირი, რომელშიც 80 ნორჩი სპორტსმენი ასპარეზობდა.

დიდი წარმატება ხვდათ საქართველოს წარმომადგენლებს. მათ ანგარიშზეა ერთი პირველი და ორი მესამე ადგილი. ყველაზე უმცროს — 1977 წელს დაბადებულთა ასაკში თავი ისახელა მწვრთნელ დავით ნოზაძის აღსაზრდელმა ირინე ბახტაძემ. 1975-1976 წლებში დაბადებულთა შორის იმარჯვეს დიმიტრი ურაევსკის მოწაფეებმა გიორგი ტყემალაძემ და ლიანა ქელეხსაევამ. ამავე ასაკის სპორტსმენთა შორის მესამე საპრიზო ადგილები წილად ხვდათ თბილისის დინამოელ ანა გასპარიანსა და ალექსანდრე თვალიაშვილს (ოლიმპიური რეზერვის სკოლა).

არტემ მალაიანცი.

მოკლედ

ზესტაფონში მიმდინარეობს მობინადრეთა სპარტაკიადა, დამთავრდა მინიფეხბურთელთა ასპარეზობა, რომელშიაც ქალაქის 8 გუნდი მონაწილეობდა. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ფეროშენადნობთა ქარხნისა და ქალაქის ბინათმმართველობების გუნდები. სპარტაკიადის ჩემპიონის წოდება ქალაქის ბინათმმართველობის წარმომადგენლებმა მოიპოვეს.

ჯემალ მახათაძე,
„ლელოს“ კორ.

ზესტაფონი.

ერთადერთი საგზურისათვის

ცხაკაიას კლუბ „მხედრულში“ დაიწყო პროფკავშირების პირველი რესპუბლიკური ვაჟთა ჩემპიონატი ჭადრაკში.

შეჯიბრებაში, რომელიც შვეიცარიული სისტემით, 9 ტურად ტარდება, მონაწილეობს ერთი ოსტატი, 20 ოსტატობის კანდიდატი და 14 პირველთანრიგოსანი. მონაწილეთა შორის არის ოსტატი ქალი ჰენრიეტა ლაგვილავა.

გამარჯვებული მონაწილეობას მიიღებს პროფკავშირების საკავშირო ჩემპიონატში, რომელიც ივლისში უქგოროდში ჩატარდება.

4 ტურის შემდეგ ქულათა მაქსიმუმით დაწინაურდნენ გოჩა ტყეიბუჩავა და რომან სიჭინავა (ორივე — ცხაკაია).

3-3 ქულა აქვთ ჰენრიეტა ლაგვილავას, ბაღათურეულს, ხეცურიანს, სკაჩკოვს (რუსთავი), ღვამიჩავას (ფოთი), ვალიევს (ცხინვალი) და სკურიდინს (ცხაკაია).

ოთარ თვალთვაძე,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

საკავშირო ტურნირზე

ქერჩში უკვე ტრადიციად იქცა სხვადასხვა რანგის საჭადრაკო ტურნირების მოწყობა. ამჯერად ქალაქმა გოგონათა საკავშირო გუნდურ შეჯიბრებას „ქერჩის გაზაფხული-88“ უმასპინძლა. შეჯიბრება, რომელშიც 1972 წელს დაბადებული და უფრო უმცროსი მოჭადრაკეები გამოდიოდნენ (სულ 24 ნაკრები გუნდი), შვეიცარიული სისტემით, 7 ტურად ჩატარდა. მონაწილეთა შორის იყვნენ საქართველოს პროფსაბჭოს ნებაყოფლობით ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოებების რესპუბლიკური საბჭოს გუნდი (რომელიც თბილისელი მოჭადრაკეებით იყო დაკომპლექტებული) და ქალაქ თერჯოლის ნაკრები. თბილისელთა გუნდის დირსებას იცავდნენ ოსტატობის კანდიდატები ნინო ქევზაშვილი, მაია მოდებაძე და მარიკა ჯაფარიძე. თერჯოლის ნაკრებში კი გამოდიოდნენ ჯულიეტა ქოჩიაშვილი, ჯუნა ცხელიშვილი და მერი ჩაბიჩაძე.

ტურნირმა უკომპრომისო ბრძოლაში ჩაიარა. საბოლოოდ 15 ქულით უველას აჯობა კიშინიოვის გუნდმა, რომელიც ფაქტიურად მოლდავეთის გოგონათა ნაკრები იყო. 14,5 ქულით მეორე ადგილი დაიკავა დუშანბეს ნაკრებმა, მესამე ადგილი კი 13 ქულით წილად ხვდა ქალაქ ბელცის ნაკრებ გუნდს.

თერჯოლის გუნდმა 10,5 ქულით XII-XIII ადგილები გაიყო და გაუსწრო თბილისელთა ნაკრებს, რომელმაც 9,5 ქულით XIV-XVII ადგილები გაიყო.

საყოველთაო სიმპათია დაიმსახურა და ტურნირის ყველაზე პატარა მონაწილისათვის განკუთვნილი პრიზი მიიღო 8 წლის თბილისელმა მოჭადრაკემ მარიკა ჯაფარიძემ.

ანატოლი პიტჩი,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.
ქ. ქერჩი.

დასვენების დღე ბუნების წიაღში

თბილისის სპორტულ ბაზებზე და ქალაქგარე დასვენების ადგილებში გასულ კვირას კვლავ გამოცოცხლდა ფიზკულტურულ-სპორტული შუშაობა. გამოვყოფთ რამდენიმეს: შრომით კოლექტივებში დაიწყო მუშათა სპარტაკიადის პირველი ეტაპის შეჯიბრებები; დიმიტროვის საავიაციო ქარხნის სპარტაკიადის გახსნა სპორტულ დღესასწაულად იქცა; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში გაიმართა შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში; ხალხმრავლობა იყო კიკვიძის კულტურისა და დასვენების პარკში; პროფკავშირული სპორტსაზოგადოების თბილისის საქალაქო საბჭოს თაოსნობით მასობრივ-გამჯანსაღებელი ღონისძიებები გაიმართა ლისის ტბაზე, ბაზალეთის ტბაზე, კიკეთში...

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

გამოხმაურება რეპლიკაზე: „შეიძინეთ თბილისური საფეხბურთო ცნობარი... კიევში!“

ხსვებისგან ვიყიდოთ ჩვენი ცნობარი?

თქვენი გაზეთის № 98-ში დიდი გულისტკივილით წავიკითხეთ რეპლიკა „შეიძინეთ თბილისური საფეხბურთო ცნობარი... კიევში“. ცხადი გახდა, თუ რატომ არ არის „სოიუზპეჩატის“ ჯიხურებში თბილისური „ფეხბურთი—88“. რა თქმა უნდა სასიამოვნოა, რომ ჩვენი ცნობარით დაინტერესდნენ მოაქმე უკრაინაში, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ მისი გარკვეული ნაწილი მაინც აქ, საქართველოში უნდა გასაღებულიყო. არა გვგონია ქართული ფეხბურთი ვინმეს ჩვენზე მეტად უყვარდეს, ანდა ჩვენსავე კოლექციონერებს რა პასუხს ვაძლევთ? სხვათა შორის, შარშანაც დაახლოებით ანალოგიური სიტუაცია იყო და ჩვენივე ცნობარებს სხვადასხვა თამაშებზე თბილისში ჩამოსული „გასტროლიორებისაგან“, ვაიდულობდით... 2-3 მანეთად. ალბათ იგივე გამეორდება წელსაც?!

ჩვენი თხოვნაა, თქვენს გაზეთში გამოაქვეყნოთ ეს კოლექტიური წერილი და „ლელოს“ ფურცლებზევე გაგვცენ პასუხი იმათ, ვისაც ეს ეხება: რატომ დარჩნენ ქართველი ფეხბურთის მოყვარულები წელს უცნობაროდ!

პატივისცემით თბილისელი კოლექციონერები:

ქურდობაიძე, მიქაძე, შოშიშვილი და სხვა (სულ 7 ხელმოწერა).

მართლა ალარ გვაინტერესებს?

იმ ფაქტი, რომ წელს თბილისში არ გამოვიდა ქართული ცნობარი „ფეხბურთი-88“, მართლაც აღმაშფოთებელია. ცხადია, მისასალმებელია უკრაინელთა ინიციატივა, რომლებმაც ჩვენი ცნობარის რუსული ტირაჟის უდიდესი ნაწილი შეისყიდეს, ეს კარგია, მაგრამ საკითხავია, რატომ აღარავის აინტერესებს ჩვენთან ქართული საფეხბურთო ცნობარის გამოცემა?

ვაჟა ქუნთელია,
ფეხბურთის გულშემატკივართა კლუბის პროპაგანდის სექტორის ხელმძღვანელი.

რატომ გვაძალებენ გაუსალებელ გამოცემებს

ამას წინათ საშუალება მქონდა ბოლოსდაბოლოს წავწყდომოდი თბილისში გამოცემულ ფეხბურთის ცნობარს. ეს მახარაძეში მოხდა, „სოიუზპეჩატის“ ჯიხურში. მაგრამ, წარმოიდგინეთ, გამყიდველმა „ფეხბურთი-88“-ს რაღაც ჩაწოლილი ჟურნალიც მოაყოლა. ეს „ნაგრუზკაა“ — განმიმარტა მოკლედ და კონკრეტულად. რას ვიზამდი, ცნობარი სიხარულით წამოვიღე, აი „ნაგრუზკას“ კი, გამოგიტყდებით, იქვე ნაგვის ყუთში გადავუძახენუ იფიქრეთ, რომ ეს მარტო მახარაძეში მოხდა, ანალოგიური „ორმაგი ვაჭრობა“ საფეხბურთო ცნობარით თურმე ბათუმშიც აუთვისებიათ. და ვინ იცის კიდევ სად?!

გიორგი გიორგოგიანი,
მეცნიერი მუშაკი.

ევროპის ჩემპიონატი ფეხბურთში

პირველიდან — მერვემდე

ევროპის 1988 წლის VIII საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალური ტურნირის დაწყებამდე სულ რაღაც ორიოდ დღე დარჩა. 10 ივნისს გფრ-ის ქალაქ დიუსელდორფის სტადიონზე შედგება ჩემპიონატის გახსნის ცერემონიალი, ამ დღესვე აქ ერთმანეთს შეხვდებიან გფრ-ისა და იტალიის გუნდები. ჩემპიონატის გახსნის საზეიმო ცერემონიალს და სასტარტო მატჩს ვიხილავთ ტელევიზორით, შემდეგ, 11 ივნისს, ვნახავთ დანიისა და ესპანეთის, 12 ივნისს — ინგლისისა და ირლანდიის, აგრეთვე 12 ივნისს — სსრ კავშირისა და ჰოლანდიის გუნდების ტელეტრანსლაციას.

ზემოტი არ იქნება ერთხელ კიდევ გავიხსენოთ ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატების ისტორია და ახლანდელი გათამაშების დებულების მთავარი პუნქტებიც.

ევროპის საფეხბურთო პირველობის იდეა თავდაპირველად ჯერ კიდევ 1927 წელს წარმოიშვა, მაგრამ ამ საინტერესო შეჯიბრებას განხორციელება მხოლოდ 3 ათეული წლის შემდეგ ეწერა. შემუშავდა ეროვნული ნაკრები გუნდების საკონტინენტო ტურნირის რეგლამენტი, პირველ და მეორე შეჯიბრებას ევროპის თასი ერქვა, შემდეგ კი მას ევროპის ჩემპიონატი ეწოდა. მაგრამ განსხვავება მხოლოდ სახელწოდებაშია, არსებითად, ეს ერთი და იგივე შეჯიბრებაა.

პირველ ევროპულ გათამაშებაში დიდ წარმატებას მიაღწიეს საბჭოთა ფეხბურთელებმა. 1960 წლის 10 ივლისს პარიზის „პარკ დე პრინსის“ სტადიონზე შედგა ფინალური მატჩი სსრ კავშირისა და იუგოსლავიის გუნდებს შორის, საბჭოთა ფეხბურთელებმა დამატებით დროში გაიმარჯვეს ანგარიშით 2:1. საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში იმ მატჩში გამოდიოდნენ ქართველი ფეხბურთელები გივი ჩოხელი, მიხეილ მესხი და სლავა მეტრეველი.

საბჭოთა ნაკრები გავიდა 1964 წლის ევროპის თასის მეორე გათამაშების ფინალშიც. მაშინ გადამწყვეტი მატჩი მადრიდში ესპანელმა ფეხბურთელებმა მოიგეს ანგარიშით 2:1.

შემდგომი შეჯიბრება უკვე ევროპის ჩემპიონატის სახელწოდებით მიმდინარეობდა, 1968 და 1972 წლებში საბჭოთა ფეხბურთელებმა კვლავ წარმატებით ითამაშეს, ჯერ IV ადგილი დაიკავეს, ხოლო შემდეგ — მეორე. 1968 წელს მესამე ადგილისთვის ბრძოლაში ჩვენმა გუნდმა ინგლისელებთან წააგო — 0:2, ხოლო 1972 წელს — გფრ-ის ნაკრებთან — 0:3.

ამის შემდეგ საბჭოთა ფეხბურთელთა მიღწევებმა ევროპულ ტურნირებში მნიშვნელოვნად იკლო, უკვე 16 წელია ჩვენს გუნდს ფინალურ ტურნირში მონაწილეობა არ მიუღია, იგი პირველივე ეტაპებზე ეთიშებოდა გათამაშებას. წლეულს ჩვენი ნაკრები კვლავ გავიდა გათამაშების გადამწყვეტ ეტაპზე, მას შემდეგ, რაც შესარჩევ ჯგუფში გაუსწრო გდრ-ის, საფრანგეთის, ისლანდიისა და ნორკვეგიის გუნდებს.

ჩემპიონატის ფინალში 8 გუნდი ორ ჯგუფადაა განაწილებული. **პირველი ჯგუფი:** გფრ, იტალია, დანია, ესპანეთი; **მეორე ჯგუფი:** ინგლისი, ირლანდია, ჰოლანდია, სსრ კავშირი. გათამაშების გადამწყვეტ ეტაპზე გადიან მხოლოდ ჯგუფებში პირველ-მეორე ადგილებზე გასული გუნდები. 21 ივნისს ჰამბურგში შედგება პირველი ნახევარფინალური მატჩი პირველ ჯგუფში გამარჯვებულსა და მეორე ჯგუფში მეორე ადგილზე გასულ გუნდს შორის, ხოლო 22 ივნისს შტუტგარტში ერთმანეთს შეხვდებიან მეორე ჯგუფში გამარჯვებული და პირველ ჯგუფში მეორე ადგილზე გასული გუნდი.

25 ივნისს მიუნხენში შედგება ფინალური მატჩი.

გთავაზობთ ევროპის წინა ჩემპიონატების გამარჯვებულთა ვინაობას:

1960 წელი. ფინალი გაიმართა საფრანგეთში. გუნდები საბოლოოდ ასე განაწილდნენ: სსრ კავშირი, იუგოსლავია, ჩეხოსლოვაკია, საფრანგეთი.

1964 წელი. ფინალი ჩატარდა ესპანეთში. ადგილები: ესპანეთი, სსრ კავშირი, უნგრეთი, დანია.

1968 წელი. იტალია. საპრიზო ადგილები: იტალია, იუგოსლავია, ინგლისი, სსრ კავშირი.

1972 წელი. ბელგია. საპრიზო ადგილები: გფრ, სსრ კავშირი, ბელგია, უნგრეთი.

1976 წელი. იუგოსლავია. საპრიზო ადგილები: ჩეხოსლოვაკია, გფრ, ჰოლანდია, იუგოსლავია.

1980 წელი. იტალია. საპრიზო ადგილები: გფრ, ბელგია, ჩეხოსლოვაკია, იტალია.

1984 წელი. საფრანგეთი. საპრიზო ადგილები: საფრანგეთი, ესპანეთი, პორტუგალია, დანია.

საინტერესოა, რომ ფრანგულ ჟურნალ „ფრანს ფუტბოლის“ 1987 წლის ევროპული კლასიფიკაციით პირველი ადგილი მიეკუთვნა ინგლისს, მეორე-მესამე — იტალიასა და ჰოლანდიას, ხოლო მეოთხე — სსრ კავშირის ნაკრებს. ამ ოთხეულიდან, როგორც ხედავთ, ერთ ჯგუფში თავმოყრილი არიან ინგლისს, ჰოლანდიისა და სსრ კავშირის გუნდები. ერთ-ერთი მათგანი ევროპის ჩემპიონატს პირველ ეტაპზევე უნდა გამოეთიშოს.

კიდევ ერთი საჩუქარი მიიღეს ფეხბურთის მოყვარულებმა — გამსაბჟომის ოპერატიული ბეჭდვის სტამბაში გამოვიდა ფეხბურთში ევროპის VIII ჩემპიონატისადმი მიძღვნილი მხატვრული პლაკატი.

გემოვნებით შესრულებულ (მხატვარი ვ. ალიუშინი), 40-ათასიანი ტირაჟით დასტამბულ პლაკატზე ფეხბურთის გულშემატკივრები გაეცნობიან ორიგინალურად გადაწყვეტილ ტურნირის კალენდარს, I და II ჯგუფების ცხრილებს და, რა თქმა უნდა, კონტინენტის ჩემპიონატის თილისმას — მხიარულ ბიჭია ბირორნლის. აქვეა მოთავსებული მიმდინარე წლის ტაბელ-კალენდარიც.

ახალი პლაკატი, რომელიც 45 კაპიკი ღირს, დაამშვენებს ყველა ჭეშმარიტი გულშემატკივრის სპორტულ კუთხეს.

ფინალისტები

3. ესპანეთი

ევროპის ჩემპიონატისთვის ესპანეთის ნაკრები იანვრიდან ემზადება. მან რამდენიმე ამხანაგური მატჩი გამართა, რომელთა შედეგებს მწვრთნელი მუნიოსი დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა. მთავარი იყო გუნდის შეთამაშება, ახალი ფეხბურთელების გამოცდა. მწვრთნელი მიიჩნევს, რომ ეს ამოცანა გადაიჭრა კიდეც. 26 მაისს ნაკრების ყველა მოთამაშემ მოიყარა თავი, დაიწყო უკანასკნელი ხანმოკლე საწვრთნელი შეკრება.

ვინა ჰყავს დღეისათვის მუნიოსს გუნდში? მას შემდეგ, რაც ცნობილი მეკარე არკონადა ხანში შევიდა, ნაკრების კარს თითქმის უცვლელად იცავს 26 წლის სუბისარეტა, ნაკრებში მან 26 მატჩი ჩაატარა. მის შემცვლელად 30 წლის ბუიო (5 მატჩი ნაკრებში) ითვლება. ბოლო ხანებში სუბისარეტა არათანაბრად, ზოგჯერ აშკარად მარცხიანადაც კი თამაშობდა, რის გამოც ისევ 33 წლის არკონადას დაბრუნება მოითხოვეს.

დაცვაში მწვრთნელს დიდი არჩევანი აქვს. ლობერო მანელა ხანგრძლივი ავადმყოფობის გამო ვერ ითამაშებს, ცნობილი მარცხენა მცველი კამაჩო 33 წლისაა და ვეღარ მოქმედებს აღრინდელი სიძლიერით. იგივე ითქმის გოიკოეჩეაზეც, სამაგიეროდ, მწვრთნელს ისეთი ოსტატების იმედი შეიძლება ჰქონდეს, როგორნიც არიან სტოპერი სანჩისი, სწრაფი, ენერგიული, მოთამაშე გალეგო, ჩენდო, ხულიო ალბერტო და ლოპეს რეკარტე. მწვრთნელის განკარგულებაშია გამოცდილი ტენდილიოც. საინტერესოა, რომ იგი ნაკრებში 19 წლის ასაკიდან გამოდის.

შუა ხაზზე მუნიოსს მიგელ გონსალესის, რომელსაც მიჩელს უწოდებენ, სახით მაღალი საერთაშორისო კლასის მოთამაშე ჰყავს. ამავე ხაზზე გამოდიან გუნდის კაპიტანი გორდილიო, კალდერე, მარტინ ვასკესი, ვიქტორი და სოლერი. ერთი სიტყვით, ესპანელებს ნახევარდაცვის საკითხი ნაკლებად აღელვებთ.

უფრო რთული პრობლემებია თავდასხმაში. აქ, მართალია, ესპანელებს ჰყავთ ექსტრაკლასის მოთამაშე ბუტრაგენიო, მაგრამ ვინ იქნება მისი პარტნიორი? ზოგი მიმომხილველის აზრით, უპირატესობა მიენიჭება ბაკეროს. კარგი შანსი აქვს გამოცდილ კარასკოს, აგრეთვე სალინასს.

ახლა კი შეგახსენებთ ესპანელების წინასწარ შედეგებს ამავე ჯგუფის სხვა გუნდებთან. დანიელებთან მათ აშკარა უპირატესობა აქვთ (8 თამაში, 5 მოგება, 2 ფრე, 1 წაგება, ბურთების სხვაობა 16-9), იტალიელებთან რამდენადმე უარესი (21 მატჩი, 6 მოგება, 8 ფრე, 7 წაგება, 21-30), გფრ-სთან ასევე უარყოფითი მაჩვენებლები (14 მატჩი, 4 მოგება, 4 ფრე, 6 წაგება. 16-19), თუმცა ყოველივე ამას, რა თქმა უნდა, დღეისათვის არც შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს.

4. დანია

თუ დანიის ფეხბურთელთა ნაკრების ყველაზე ტიტულოვან მწვრთნელზეა ლაპარაკი, ეს, უპირველეს ყოვლისა, დასავლეთგერმანელი იოზეფ (ზეპ) პიონტეკია. დანიელებს უწინ რაიმე მნიშვნელოვანი წარმატება არა ჰქონიათ, პიონტეკმა კი ისეთი გუნდი შექმნა, რომ ფეხბურთის მთელი სამყარო აალაპარაკა.

ასეთი ავტორიტეტის მიუხედავად დანიის ნაკრების გზა ევროპის ჩემპიონატის ფინალისკენ იოლი არ ყოფილა. შესარჩევ ჯგუფში გუნდი დიდ სიძნელეებს წააწყდა, მისი ფინალში გასვლა ერთხანს, უელსელებთან დამარცხების (0:1) შემდეგ, სათუოც კი გახდა. ბოლოს მდგომარეობა მაინც გამოსწორდა. დანიელებმა შეძლეს უელსელებთან რევანშის აღება (1:0), საბოლოოდ ჩეხოსლოვაკიელებსაც გასწრეს, უელსელებსაც და ფინალში გავიდნენ.

დანიელ მიმომხილველთა აზრით, ნაკრები ფინალის წინ არაერთი სიძნელის წინაშე აღმოჩნდა. ძირითადი პრობლემა ტრადიციულია: მოთამაშეებმა კოპენჰაგენში მხოლოდ 29 მაისს მოიყარეს თავი 9 (!) სხვადასხვა ქვეყნიდან. გფრ-ში გამგზავრებამდე მათ ორი საკონტროლო მატჩი ელოდა, ამ მატჩების შემდეგ კი ნაკრებში რაიმე ცვლილება უკვე აღარ მოხდებოდა, ვინაიდან პიონტეკმა ჯერ კიდევ ადრე დაადგინა, რომელ მოთამაშეებზე აიღოს კურსი. უპირატესობას იგი გამოცდილ ოსტატებს ანიჭებს, გუნდის საფუძვლიან გადახალისებას კი მხოლოდ მსოფლიო პირველობისთვის დაიწყებს.

ძირითად მეკარედ ახლა რასმუსენი ითვლება, დანიელები შარშან საერთოდ ცოტას თამაშობდნენ, სულ 6 მატჩი ჩაატარეს და აქედან ხუთში კარის დაცვა რასმუსენს მიანდვეს. დაცვა გამოცდილი ოსტატებისგან შედგება, სადაც კვლავინდებურად პირველხარისხოვანი ცენტრალური მცველი 38 (!) წლის მორტენ ოლსენი გამოირჩევა. როგორც ჩანს, იგი, ევროპის ჩემპიონატის ყველაზე უფრო ხანდაზმული მოთამაშე იქნება და სწორედ ამ შეჯიბრების დროს ითამაშებს თავის მესამე მატჩს ნაკრებში. დაცვის ხაზში თამაშობს კიდევ ორი ვეტერანი — 34 წლის ბუსკი და 32 წლის ივან ნილსენი. დაცვის კიდევ ორ ძირითად მოთამაშედ ითვლება 24 წლის ჰაინცე და 26 წლის სივაბეკი.

გუნდის უძლიერესი რგოლია შუა ხაზი. აქ წამყვანია განთქმული ოსტატი სორენ ლერბი, რომელზეც ამბობენ, რომ იგი ისე „აგროვებს“ სხვადასხვა ქვეყნის ჩემპიონების მედლებს, როგორც ზოგიერთი — საფოსტო მარკებს! ლერბი 30 წლისაა, 17 წლისა ამსტერდამის „აიაქსში“ თამაშობდა, შემდეგ, 4 წლის მანძილზე, მიუნხენის „ბაიერნში“. ორივე ქვეყანაში ჩემპიონი გახდა, ერთ წელს „მონაკოში“ ითამაშა, ახლა კი „ეინდჰოვენში“ ჰოლანდიის ჩემპიონობაც მოიპოვა და ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასიც! ამ ხაზზე გამოდიან, აგრეთვე, 30 წლის ბერგენი, მელბი, ლაურიდსენი, იენსენი, ფრიმანი, იესპერ ოლსენი.

თავდასხმაში მწვრთნელი წლების განმავლობაში დიდ იმედს განთქმულ დუეტზე ელკიაერ-ლარსენსა და მიჰაელ ლაუდრუპზე ამყარებდა, ახლა კი ყურადღება მიაქცია ფლემინგ პოულსენს და მიჰაელ ლაუდრუპის უმცროს ძმას, 19 წლის ბრიანს.



ციტატა

„ხოვეტსკი სპორტის“ 5 ივნისის ნომერში გამოქვეყნებულია საინტერესო წერილი „დაუმსახურებლად დაუმსახურებელნი“. იქ მოხსენიებულია ნორჩ ფეხბურთელთა ცნობილი აღმზრდელის, ქუთაისელი მწვრთნელის კარლო ხურციძის სახელიც.

წერილში ნათქვამია: **„...მოწოდებით ისეთი უნიკალური სპეციალისტი და მწვრთნელი, როგორიც არის კ. ხურციძე, ჯერ კიდევ მხოლოდ საქართველოს სსრ დამსახურებული**

მწვრთნელია. რასაკვირველია, ესეც მაღალი წოდებაა, მაგრამ კარლო ხურციძის ღვაწლი ჩვენს ფეხბურთში ხომ დიდი ხანია გასცდა რესპუბლიკის ფარგლებს. საკმარისია ითქვას, რომ თბილისის „დინამოს“ ფორმა იმ ღირსსახსოვარ 1981 წელს, როცა გუნდმა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასი მოიპოვა, ეცვა კ. ხურციძის მრავალ აღზრდილს, ძირითადი შემადგენლობის თითქმის ნახევარს. და მანამდეც ხომ იყვნენ სხვა თაობის ფეხბურთელები — რევაზ ძოძუაშვილი, რამაზ ურუშაძე, ხერგო კუტიავაძე, ძმები გ. და ლ. ნოდიები... იხინაც კარლო ხურციძის მოწაფეები არიან. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ კ. ხურციძე რამდენიმე ათეული წლის მანძილზე ქუთაისის ოსტატთა გუნდის ჩვეულებრივ მოსამზადებელ ჯგუფს ამეცადინებდა, იდეალურისგან საკმაოდ დაცილებულ ძნელ პირობებში, მის მიღწევებს თუ არა უნიკალურს, სხვას ვერას ვუწოდებთ. განსაკუთრებით იმ ფონზე, როცა მრავალრიცხოვან სკოლებს „ოლიმპიური რეზერვის“ მაღალი წოდება აქვს მინიჭებული, იქ ნარმართულ მუშაობას კი ფუჭი შედეგები მოაქვს.

არის თუ არა კ. ხურციძე იმის ღირსი, რომ სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის წოდება ჰქონდეს? უდავოდ. ამიტომაც, ვფიქრობთ, ეს უსამართლობა დროზე უნდა გამოსწორდეს“.

ხურათზე: **კარლო ხურციძე ნორჩ ფეხბურთელებთან შეცადინეობისას.**

რამდენიმე დღე გაგრძელდა თბილისის მოსწავლეთა სპარტაკიადა ფეხბურთში 1973-1974 წ. დაბადებულთა შორის. საინტერესო შეჯიბრებას „ავაზას“ სპორტსკოლის სტადიონმა უმასპინძლა.

ფინალში ოქტომბრის რაიონის „ბერმუხამ“ დაამარცხა ლენინის რაიონის გუნდი „ავაზა“ — 2:1 და სპარტაკიადის ჩემპიონის სახელი დაეუფლა.

ხურათზე: **თბილისის მოსწავლეთა სპარტაკიადის გამარჯვებული „ბერმუხა“.**

ჩემპიონატზე ჩავიდნენ

გუშინ მაინის ფრანკფურტში ჩავიდა სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები. აეროპორტში მას დახვდა გფრ-ის საფეხბურთო კავშირის გენერალური მდივანი ვ. გერჰარდტი, აგრეთვე, ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენლები.

ჩვენი ფეხბურთელები ავტობუსით გაემგზავრნენ შტუტგარტის მახლობლად მდებარე ქალაქ რუიტის ბაზაზე. საბჭოთა ნაკრებს, ისევე როგორც სხვა ფინალისტებს, უხიფათობისთვის. თან ახლავენ მოტოციკლისტები და დასავლეთ გერმანიის პოლიციის სასამსახურო მანქანები.

აქაურმა გაზეთებმა გამოაქვეყნეს მთავარი მწვრთნელის ვ. ლობანოვსკის განცხადება, რომ ჩემპიონატზე მოსალოდნელია მძაფრი ბრძოლა, საბჭოთა ფეხბურთელებს განზრახული აქვთ თავიანთი თამაშით სიამოვნება მოუტანონ მაყურებლებს.

საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატი კალათბურთში

სუპერფინალების წინ

გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა რესპუბლიკური ჩემპიონატის ფინალური ტურნირის მატჩები.

3 ივნისი. ჭუთაისი — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) 111:109 (56:54).

ჭუთაისი: დარსაძე (51), ანდღულაძე (24), გოქსაძე (14), ხუჯაძე (10), ხაბულიანი (8), კანდელაკი (4).

პოლიტექნიკური ინსტიტუტი: გიორგობიანი (33), გაბრიჩიძე (25), სანაძე (25), ორმოცაძე (18), კოტრიკაძე (4), პეტრიაშვილი (4).

3 ივნისი. სახელმწიფო უნივერსიტეტი (თბილისი) — სოხუმი 122:104 (51:53).

უნივერსიტეტი: ახვლედიანი (29), ტალაბაძე (21), ჯაფარიძე (16), ტურაშვილი (13), ხუხაშვილი (11), რევაზიშვილი (7), ქართველიშვილი (7), ქურდოვანიძე (6), შარაშენიძე (6), დვალი (3), ქართველიშვილი (3).

სოხუმი: სულავა (32), ჩუბინიძე (32), სუშჩენკო (14), ზარქუა (9), პირველი (9), ჭითავა (4), მოსკალენკო (2), გაფრინდაშვილი (2).

3 ივნისი. საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „სინათლე“ (თბილისი) 123:122 (53:52).

ფიზკულტურის ინსტიტუტი: ფერიაშვილი (34), ლიპარტელიანი (21), ჩერქეზიშვილი (18), დადიანი (17), კობულავიძე (14), შავლოხოვი (8), უძილაური (6), მაისურაძე (5).

„სინათლე“: გურასპაული (45), სინჯარაძე (25), ძიძავა (17), ბერუაშვილი (17), ღონღაძე (14), ჩაჩხიანი (4).

4 ივნისი. საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — სოხუმი 98:97 (55:39).

ფიზკულტურის ინსტიტუტი: დადიანი (29), კობულავიძე (17), შავლოხოვი (14), უძილაური (11), დათიკაშვილი (11), მოველიძე (8), მაისურაძე (6), ფერიაშვილი (2).

სოხუმი: ჩუბინიძე (30), სუშჩენკო (30), ჭითავა (17), პირველი (14), მოსკალენკო (3), ზარქუა (3).

4 ივნისი. „სინათლე“ (თბილისი) — ჭუთაისი 108:107 (59:54).

„სინათლე“: ბერუაშვილი (38), ღონღაძე (22), გურასპაული (19), ქორქია (10), სინჯარაძე (8), ძიძავა (8), ჯორჯიკია (3).

ჭუთაისი: გოქსაძე (26), ანდღულაძე (25), დარსაძე (19), გუბელაძე (15), ხუჯაძე (14), აფრიდონიძე (6), ხულაძე (2).

5 ივნისი. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 103:86 (60:45).

პოლიტექნიკური ინსტიტუტი: გიორგობიანი (29), გაბრიჩიძე (24), სანაძე (18), ორმოცაძე (15), კოტრიკაძე (11), პეტრიაშვილი (6).

ფიზკულტურის ინსტიტუტი: შავლოხოვი (18), ჩერქეზიშვილი (17), დადიანი (16), კობულავიძე (13), უძილაური (12), დათიკაშვილი (6), ფერიაშვილი (2), მოველიძე (2).

6 ივნისის კალენდრით გათვალისწინებული ეს მატჩი 2 ივნისს ჩატარდა. ჭუთაისი — სოხუმი 86:77 (45:48).

ჭუთაისი: ხუჯაძე (29), ხაბულიანი (17), გოქსაძე (14), გუბელაძე (13), ანდღულაძე (11), ბუაძე (2).

სოხუმი: ჩუბინიძე (20), სულავა (17), ჭითავა (15), სუშჩენკო (10), პირველი (8), მოსკალენკო (4), ზარქუა (3).

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 7 ივნისისთვის

უნივერსიტეტი (თბ.)	25	22	3	47
ჭუთაისი	26	20	6	46
„სინათლე“ (თბ.)	25	20	5	45
ფიზკ. ინსტ. (თბ.)	26	19	7	45
სპი (თბ.)	26	18	8	44
სოხუმი	26	12	14	38

დარჩა ერთადერთი მატჩი უნივერსიტეტსა და „სინათლეს“ შორის, რომელიც გამოავლენს სუპერფინალის მონაწილეთა ვინაობას.

„სპორტპროგნოზი“

23-ე ტირაჟის შედეგები

(4-6 ივნისი)

1—1, 2—1, 3—1, 4—1, 5—1, 6—X, 7—1, 8—2, 9—2, 10—1, 11—1, 12—X, 13—1.

შენიშვნა: პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

ქველაფერი თბილისში გადაწყდება

დასასრული

● კარგით, მოსკოვის გუნდი გასაგებია, მაგრამ ფავორიტად ხომ სხვა კოლექტივი, რუსეთის ფედერაციის ნაკრები ითვლებოდა?

— ეს გუნდიც, ჩვენი არ იყოს, არასრული შემადგენლობით გამოდიოდა, მისი წამყვანი მოჭიდაველებიც ესპანეთში იყვნენ. მოსკოველებს კი არავინ აკლდა. სხვა ვითარებაში არა მგონია, რომ ისინი საშიში მეტოქეები ყოფილიყვნენ ჩვენთვის ან რუსეთის ფედერაციის ნაკრებისთვის. ახლა კი კინოლამ სენსაცია მოახდინეს, ამ გუნდთან მინიმალური ანგარიშით დათმეს გადამწყვეტი, ფინალური შეხვედრა.

● რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ ეტაპზე ქვეყნის თასის გათამაშებას?

— უნდა გითხრათ, რომ ოლიმპიურ წელიწადში ეს შეჯიბრება ერთგვარად უფასურდება. მით უმეტეს, რომ მას არც ნაკრების დაკომპლექტებაზე აქვს ზეგავლენა. სხვა დროს კი, როდესაც მნიშვნელოვან ტურნირთა სიმცირეა, ყველა და მათ შორის ჩვენც, უფრო მონდომებით ვემზადებით ქვეყნის თასისთვის საბრძოლველად.

მიუხედავად ამისა, მე მაინც მინდა აღვნიშნო ჩვენი რამდენიმე მოჭიდავის კარგი გამოსვლა. დაუმარცხებლად ჩაატარეს მთელი ტურნირი ბათუ ჯიქურმა და კახა ქურასბედიანმა, რომლებმაც 5-5 შეხვედრა მოიგეს. ძალზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა მათზე ასაკით უფროსმა დავით დავითაშვილმა, რომელსაც საქართველოს ფალავნობაც აქვს მოპოვებული. მთლიანად კი ჩვენი გუნდის შედეგები ასეთია: ჯერ დავამარცხეთ უაზბეთის გუნდი — 6:1, მოსკოველებთან წაგების შემდეგ უკვე მესამე ადგილისათვის ვიბრძოდით. აქ ორი შეხვედრა მოვიგეთ უზბეკეთისა (7:0) და უკრაინის (4:3) ნაკრებებთან.

● ჩვენი გაზეთის მკითხველებს უკვე ვაცნობეთ ევროპის ჩემპიონატის შედეგები. თქვენ ამ შეჯიბრებაზე ბრძანდებოდთ და ამიტომ გთხოვთ უფრო დაწვრილებით გვაამბოთ ჩემპიონატის შესახებ, კერძოდ, ამირან ტოტიკაშვილისა და აკაკი კიბორძალიძის გამოსვლაზე.

— ამირან ტოტიკაშვილმა პამპლონაში სწორედ ისე იჭიდავა, როგორც ქვეყნის ჩემპიონატზე, სადაც პირდაპირ გაოცებული დატოვა ყველა და საჯარიმო ქულის გარეშე დაამთავრა შეჯიბრება. იგი ნამდვილი სპორტსმენია, იშვიათი სიბეჯითით გამოირჩევა. თვით ქვეყნის ნაკრების მწვრთნელებიც კი მაფრთხილებდნენ, ცოტა დაასვენეგ ბიჭი, მეტისმეტი არ მოუვიდესო.

ჭიდაობის დროს კი ისე იქცევა, გეგონებათ დაბრძენებული ვეტერანი ძიუდოისტი დაუბრუნდა ტატამსო. სწორედ ასევე, საღი გონებით უდგება იგი კვების, დისციპლინისა და სხვა, სპორტსმენებისთვის მნიშვნელოვან საკითხებს.

ამირანი ნახევარფინალში სწორედ ტატამის მასპინძელს, პამპლონელ სპორტსმენს შეხვდა. წინასწარ გავაფრთხილე, საშინელი ხმაური იქნება და არ შეგეშინდეს მეთქი. „მაგათ რომ იცოდნენ, ვის უფრო მოუხდება ეს ყვირილი, ალბათ ხმას არ ამოიღებდნენო“ — ასე მიპასუხა.

მისი ნათქვამი ასრულდა. რაც კი ძიუდოში გდება არსებობს, ყველა სათითაოდ ჩაუტარა ტოტიკაშვილმა მეტოქეს, არადა ხმაური ჭერს ხდიდა, პირდაპირ საქართველოში გეგონებოდა თავი. ჭიდაობის დამფასებელი ყოფილა ესპანელი მაყურებელი, დიდი ოვაცია გაუმართეს ამირან ტოტიკაშვილს ორთაბრძოლის დამთავრების შემდეგ.

ფინალი ასევე შესანიშნავად მოიგო, ვაზარით ძირს დასცა ევროპის ჩემპიონი ფრანგი პატრიკ რუ და იქვე შებოჭა.

● შეეძლო თუ არა აკაკი კიბორძალიძეს გამარჯვება?

— ახლა ამაზე გვიანია ლაპარაკი, მაგრამ ყველაფერი ერთმა გაუფრთხილებლობამ გადაწყვიტა. კიბორძალიძე ძალიან კარგ ფორმაში იყო, ფინალამდე სამივე შეხვედრა წმინდად მოიგო. მეორე ფინალისტი ინგლისელი გორდონი მას ადრე ჰყავდა დამარცხებული, მაგრამ ამჯერად, როგორც უკვე გითხარით, ერთ წამს ყურადღება მოადუნა და მეტოქის გდება გამოეპარა. ასეთია ძიუდო, შეცდომას არ გაპატიებს. ფინალის შემდეგ გამწარებულ აკაკს დანაბირს ბრ უხსნდა, მერე მითხრა, ისე მინდა არ წავალ სპორტიდან, ევროპის ჩემპიონი რომ არ გავხდეო.

საერთოდ, ევროპის ჩემპიონატი ძალზე მაღალი დონისა იყო, აშკარად იგრძნობოდა ოლიმპიადის მოახლოება.

● ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ალბათ გარკვეული ცვლილებებია მოსალოდნელი ქვეყნის ოლიმპიურ გუნდში.

— დღესდღეობით მხოლოდ გუნდის სამი წევრი შეიძლება იყოს დარწმუნებული, რომ ოლიმპიადაზე გაემგზავრება. ესენი არიან გრიგორი ვერიჩევი, ბაშირ ვარაევი და ამირან ტოტიკაშვილი. დარჩენილ ხუთ წონით კატეგორიაში ვაკანსია ღიაა. სწორედ ამიტომ ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა ექნება თბილისის საერთაშორისო ტურნირს, რომლის შედეგების გათვალისწინებით დაკომპლექტდება ჩვენი ქვეყნის ძიუდოისტთა ნაკრები.

ეს უკანასკნელი, „ა“ კატეგორიის ტურნირიდაა დარჩენილი ოლიმპიადამდე და იგი ფაქტობრივად ძალების უკანასკნელი შემოწმება იქნება მრავალი ქვეყნის ძიუდოისტებისათვისაც. პირველად თბილისში ჩამოვლენ ოლიმპიადის მასპინძლები, სამხრეთკორეელი სპორტსმენები, იაპონიასაც ორი გუნდი გამოჰყავს, მოკლედ მეტად საინტერესო ტურნირი იქნება.

ესაუბრა

გიორგი ჩოჩიშვილი.

ავტოგრაფი „ლელოს“

თბილისში დამთავრდა ნიუ-იორკის პარლამის ხაცეკვაო თეატრის გასტროლები.

ჰობი? — გაიკვირვა ჩვენი კითხვა თეატრის ხელმძღვანელმა არტურ მიჩელმა, — არავითარი ჰობი არ გამაჩნია. ის კი არა, დარწმუნებული ვარ, რომ თავისი სამუშაოს, საქმის მოყვარულ ადამიანს არ შეიძლება ჰქონდეს ჰობი. საამისო დრო აღარა რჩება! სხვა გატაცება-გართობები იმათ გააჩნიათ, ვისაც არ მოსწონს სამუშაო, ვისაც იგი არ შთაგონებს, შთაგონების გარეშე სიცოცხლე კი შეუძლებელია.

ჩემი სიცოცხლე, ბალეტი გახლავთ. არ მაინტერესებს პრაფერი ბალეტის გარდა. ერთმა ამერიკელმა კრიტიკოსმა „შეშლილი“ მიწოდა, და იქნებ, ეს მართალიც არის? ერთი-ორჯერ ცოლის შერთვა დავაპირე, მაგრამ შემეშინდა, რომ საჭირო გახდებოდა ამერრია — ოჯახი თუ თეატრი, და, რაღა თქმა უნდა, უპირატესობა თეატრს მივაკუთვნე. ჰოდა, დავდივარ ასე, უცოლშვილოდ.

ჩემი თეატრი ძალზე ახალგაზრდაა, სულ რაღაც ცხრამეტი წლისა. ამდენივე წლის ვიყავი მე თვითონ, როცა ბალეტს ვეზიარე. ცდილობდნენ, გადამეფიქრებინა, მარწმუნებდნენ, არაფერი გამოგივაო, — ჯერ ერთი, ბალეტისთვის უკვე „ბებერი“ ხარო, მეორეც „შავი“ ხარო. მაგრამ ორი წლის შემდეგ მე უკვე კლასიკური მოცეკვავე გახლდით და თვით ბალანჩინმ ამიყვანა თავის დასში!

ახლა ჩემი თეატრის სტუდიაში მოდიან შავკანიანი ჭაბუკები და ქალიშვილები. ყველა მათგანი ვარსკვლავი ვერ გახდება, მაგრამ ბალეტი მათ საკუთარ თავზე მუშაობას ასწავლის, გამოუმუშავებს დისციპლინას, მეორეხარისხოვნის მთავარისადმი დაქვემდებარების უნარს.

თქვენი გაზეთი სპორტზე უამბობს მკითხველს? ვუსურვებ ყველა სპორტსმენს, ვისთვისაც სპორტი ჰობი კი არა, ცხოვრების საქმეა, ბოლომდე უერთგულონ თავიანთ საქმეს. ამაშია ბედნიერება.

სტუმარს შეხვდა

პეპი ბოჭორიშვილი.

რედაქტორი

თ. გაჩეჩილაძე.

თბილისის გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის სტადიონი

(სპორტკლუბი „შევარდენი“)

ფეხბურთი

II ლიგა, IX ზონა

9 ივნისი

„შევარდენი“-სპი (თბილისი) — „ტორპედო“ (ვოლუსკი)

დასაწყისი 19 საათზე.

თამაშის დამთავრების შემდეგ მოეწყობა სპორტული ლატარიის გათამაშება.

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი აცხადებს მიღებას 1988-89 სასწავლო წლისათვის დღისა და დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტებზე.

დღის სწავლება

ინსტიტუტი ამზადებს მწვრთნელ-მასწავლებლებს სპორტის სახეობებში, ფიზიკური კულტურის მასწავლებლისა და მასობრივ ფიზკულტურულ-გამჯანსაღებელი მუშაობის ორგანიზატორებს (ქართული და რუსული სექტორი).

დღის სწავლების ფაკულტეტზე მიღება იწარმოებს შემდეგ სპორტის სახეობებში: კლასიკური და თავისუფალი ჭიდაობა, სამბო, ძიუდო (ვაჟები), კრივი, ფარიკაობა, ტყვიის სროლა, მშვილდოსნობა, თანამედროვე ხუთჭიდი, მშდ მრავალჭიდი, სათხილამურო სპორტი, ველო-სპორტი, ძალოსნობა, ჭადრაკი, მძლეოსნობა, სპორტული და მხატვრული ტანვარჯიში, აკრობატიკა, ცურვა, წყალბურთი, ნიჩბოსნობა, კალათბურთი, ფრენბურთი, ფეხბურთი, ჩოგბურთი, ხელბურთი.

დღის სწავლების ფაკულტეტებზე შემსვლელთათვის, სადაც მიიღებიან 35 წლამდე ასაკის მოქალაქენი, სავალდებულოა II სპორტული თანრიგი სპორტის არჩეულ სახეობაში. სწავლების ამ ფორმაზე გამოცდები ტარდება შემდეგ საგნებში: საერთო ფიზიკური მომზადება, სპორტის არჩეული სახეობა, ბიოლოგია (ზეპირი), მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა).

შენიშვნა: საერთო ფიზიკური მომზადება, რომელშიც სხვა სპორტულ ნორმატივებთან ერთად შედის ცურვაც, ფასდება ორბალიანი სისტემით („ჩაეთვალა“, „არ ჩაეთვალა“). აბიტურიენტი, რომელიც ვერ მიიღებს ჩათვლას, შემდეგ გამოცდებზე არ დაიშვება.

საშუალო სკოლის მედალოსნები, აგრეთვე აბიტურიენტები, რომლებმაც დაამთავრეს საშუალო სპეციალური ან პროფტექნიკური სასწავლებელი (რვაწლიანი განათლების ბაზაზე) წარჩინებით, აბარებენ გამოცდას მხოლოდ სპეციალობაში. იმ შემთხვევაში, თუ შეფასება „ხუთი“ დიმსახურეს, ისინი თავისუფლდებიან მომდევნო გამოცდებისაგან.

დაუსწრებელი სწავლება

დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტზე ასაკის განუსაზღვრელად მიიღებიან მოქალაქენი, რომლებსაც აქვთ III სპორტული თანრიგი ნებისმიერ სპორტის სახეობაში და მუშაობენ არჩეული სპეციალობის პროფილით, სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატები, საერთაშორისო და სსრკ სპორტის ოსტატები, სსრკ და რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელები, საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზებულნი (დემობილიზაციიდან პირველი სამი წლის მანძილზე) სარგებლობენ იმ პირთა უფლებებით, რომელთაც აქვთ მუშაობის გამოცდილება არჩეულ სპეციალობაში.

დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტზე გამოცდები ჩატარდება საერთო ფიზიკურ მომზადებაში (ცურვასთან ერთად), ბიოლოგიაში (ზეპირი) და მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერა).

ფიზკულტურის ტექნიკუმისა და მწვრთნელთა სკოლის წარჩინებით კურსდამთავრებულები აბარებენ ერთ გამოცდას საერთო ფიზიკურ მომზადებაში და შეფასება „ხუთის“ მიღების შემთხვევაში თავისუფლდებიან მომდევნო გამოცდებისაგან.

ამავე უპირატესობით სარგებლობენ არჩეული სპეციალობის პროფილით მუშაობის ერთი წლის სტაჟის მქონე პირები და ბოლო სამი წლის მანძილზე საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზებული სამხედრო მოსამსახურეები, რომლებმაც დაამთავრეს საშუალო სპეციალური სასწავლებელი წარჩინებით ან საშუალო სკოლა ოქროს (ვერცხლის) მედალზე.

აბიტურიენტები, რომლებსაც გააჩნიათ პროფილით მუშაობის ერთი წლის სტაჟი და დამთავრებული აქვთ ფიზკულტურის ტექნიკუმი ან მწვრთნელთა სკოლა, კონკურსის შედეგად შეიძლება ჩაირიცხონ ერთი გამოცდით (საერთო ფიზიკური მომზადება) დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტზე, მიმღები კომისიის მიერ მათთვის გამოყოფილი ადგილების ფარგლებში.

განცხადებას უნდა დაერთოს: საბუთი საშუალო განათლების შესახებ (დედანი), დახასიათება (დამოწმებული ადმინისტრაციისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ). ჯანმრთელობის ცნობა (ფორმა 086 უ); ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, სპორტსმენის საკლასიფიკაციო ბილეთი და მშდ კომპლექსის ჩაბარების მოწმობა, 6 ფოტოსურათი — 3X4. პასპორტს და საბუთს სამხედრო ვალდებულების შესახებ შემსვლელნი წარმოადგენენ პირადად.

საბუთების მიღება იწარმოებს 25 ივნისიდან 15 ივლისამდე. გამოცდები ჩატარდება 16 ივლისიდან 5 აგვისტომდე.

დაწვრილებით ცნობებს მიიღებთ ინსტიტუტის მიმღებ კომისიაში.

ინსტიტუტის მისამართია: 380062 — თბილისი. ი. ჭავჭავაძის გამზირი — 49, ტელეფონი: 23-18-24.

ინდექსი 88485. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის ქ. 29. 8 უე 05358